

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მართვის ორგანოების/სუბიექტების
არჩევის/დანიშვნის

წესები და პროცედურები

სარჩევი

შესავალი	3
უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები/სუბიექტები	3
უნივერსიტეტის რექტორი	4
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები.....	4
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.....	6
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	9
ფაკულტეტის დეკანი.....	10
ფაკულტეტის საბჭო.....	11

შესავალი

შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში- უნივერსიტეტი) სტრუქტურა და მმართველი ორგანოების/სუბიექტების არჩევის/დანიშვნის წესები, პროცედურები და უფლებამოსილებები ეფუძნება ორგანიზაციის მართვის თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მისიისა და მიზნების თანმიმდევრულ და ეფექტიან რეალიზებას. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სუბიექტების არჩევის/დანიშვნის წესი და პირობები განსაზღვრულია „უნივერსიტეტის დებულებით“, „ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესით“ და სხვა შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით.

წინამდებარე დოკუმენტში კონსოლიდირებული სახით არის მოცემული უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტების დანიშვნის წესები; ასევე უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების შემადგენლობა და მათი დაკომპლექტების წესები და პროცედურები. დოკუმენტის მიზანია საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებს გაუმარტივოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაზარდოს მასზე ხელმისაწვდომობა.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები/სუბიექტები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
2. უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტები/ორგანოები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
- 3.
4. **უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტები/ორგანოებია:**
 - ა) პარტნიორთა საერთო კრება;
 - ბ) რექტორი;
 - გ) ვიცე-რექტორი;
 - დ) წარმომადგენლობითი საბჭო;
 - ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
5. **უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის მართვის ორგანო და მმართველი სუბიექტია:**
 - ა) ფაკულტეტის საბჭო;
 - ბ) ფაკულტეტის დეკანი.

უნივერსიტეტის რექტორი

1. უნივერსიტეტის რექტორი (შემდგომში - რექტორი) ხელმძღვანელობს და წარმართავს უნივერსიტეტის საქმიანობას.
2. რექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ წესდებითა და უნივერსიტეტის დებულებით.
4. რექტორი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
5. რექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ დირექტორმა ან სხვა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
6. რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრება.
7. რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება;
 - გ) მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის მინიმუმ 3 წელი მენეჯერულ პოზიციაზე;
 - დ) უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის წარმოდგენა;
 - ე) სასურველია განათლების ადმინისტრირების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
 - ვ) სასურველი ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
 - ზ) საოფისე პროგრამების ცოდნა.

უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები

1. უნივერსიტეტს ჰყავს ოთხი ვიცე-რექტორი შემდეგი მიმართულებებით:
 - ა) სამეცნიერო საკითხებში;
 - ბ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში;
 - გ) საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში;
 - დ) ფინანსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის საკითხებში.
2. ვიცე-რექტორი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტის რექტორს უნივერსიტეტის მართვაში.
3. ვიცე-რექტორის უფლებამოსილება განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით, მისი თანამდებობრივი ინსტრუქციითა და შრომითი ხელშეკრულებით.

4. ვიცე-რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია რექტორის ბრძანებით.
5. სამეცნიერო საკითხებში ვიცე-რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება;
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის გამოცდილება;
 - დ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი;
 - ე) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
 - ვ) საოფისე პროგრამების ცოდნა.
6. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში ვიცე-რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება;
 - გ) საგანმანათლებლო პროცესის მართვის გამოცდილება;
 - დ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
 - ე) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
 - ვ) საოფისე პროგრამების ცოდნა.
7. საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში ვიცე-რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.
 - ბ) მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
 - გ) საერთაშორისო პროექტების მართვისა და საერთაშორისო პარტნიორებთან, ფონდებთან, დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
 - დ) სასურველია უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
 - ე) სასურველია იურისტად მუშაობის გამოცდილება;
 - ვ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების ცოდნა;
 - ზ) ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე;
 - თ) საოფისე პროგრამების ცოდნა.
8. ფინანსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის საკითხებში ვიცე-რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.
 - ბ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
 - გ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფილად ცოდნა;

- დ) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა;
- ზ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
- თ) საოფისე პროგრამების ცოდნა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში „წარმომადგენლობითი საბჭო“) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი მმართველი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ეფექტიან მართვასა და განვითარებას, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტრატეგიული საკითხების კოლეგიური გადაწყვეტა, უნივერსიტეტის მართვისა და საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალობა და მასში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა, დაკომპლექტების წესი, უფლებამოსილება, ფუნქციები, საქმიანობის რეგლამენტი და მასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით“.
3. **წარმომადგენლობით საბჭოს შემადგენლობა:**
 - 3.1 წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, რომელთაგან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ აირჩევა 6 წევრი, ხოლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ შეირჩევა 5 წევრი წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით დადგენილი წესით.
 - 3.2 საბჭოს შემადგენლობაში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ არჩეული წევრების სტატუსით შედიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.
 - 3.3 საბჭოს არჩეული წევრი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.
 - 3.4 საბჭოში არჩეულ წევრ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.
 - 3.5 საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შევიდნენ შემდეგი პირები:
 - ა) უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები;
 - ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
 - გ) უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულების (ცენტრები/ინსტიტუტები) ხელმძღვანელები;
 - დ) ნებისმიერ პირი, რომელსაც აქვს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება და აკმაყოფილებს რექტორის მიერ შერჩეული საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის წინამდებარე დებულებით დადგენილ

შერჩევის კრიტერიუმებს.

3.6 საბჭოს შემადგენლობაში რექტორის მიერ ინიშნება იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება და ასრულებს საბჭოს მდივნის ფუნქციებს.

3.7 ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების კანდიდატების წარდგენისა და რექტორის მიერ 5 წევრის შერჩევის შემდგომ, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი.

4. საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევა:

4.1 საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც ამავდროულად არ არის უნივერსიტეტის სხვა არჩევითი კოლეგიური ორგანოს წევრი.

4.2 საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი აირჩევა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

4.3 ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 1 თვით ადრე ან საჭიროებისამებრ აცხადებს კონკურსს საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით.

4.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი დასაბუთებული განცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევის მიზნით განცხადება არ განიხილება.

4.5 ფაკულტეტის საბჭო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 14 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს წარმოდგენილ დასაბუთებულ განცხადებებს. აფასებს კანდიდატების კონცეფციას/ხედვას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უფლებამოსილია სურვილის შემთხვევაში გაესაუბროს კანდიდატებს წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მათი როლის შესახებ და სხდომაზე კენჭისყრის გზით იღებს გადაწყვეტილებას იმ კანდიდატთა სასარგებლოდ, რომელთა მონაწილეობასაც წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მიიჩნევს პროდუქტიულად.

4.6 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევის შესახებ, არჩევნების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება რექტორს დასამტკიცებლად, რომელიც არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე.

5. საბჭოს წევრი სტუდენტის არჩევა:

5.1 საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სხვა არჩევითი კოლეგიური ორგანოს ან/და

თვითმმართველობის წევრი. სტუდენტი საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს სწავლების მეორე სემესტრიდან.

- 5.2 საბჭოს სტუდენტი წევრი აირჩევა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
- 5.3 ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი სტუდენტი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 1 თვით ადრე ან საჭიროებისამებრ აცხადებს კონკურსს საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით.
- 5.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი განცხადება, რომლითაც უნდა დაასაბუთოს რატომ იქნება მისი როლი მნიშვნელოვანი და შედეგიანი საბჭოს საქმიანობაში. ამასთანავე, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს კონფერენციებსა და საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობებში აქტიური ჩართულობა.
- 5.5 ფაკულტეტის საბჭო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 14 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს წარმოდგენილ დასაბუთებულ განცხადებებს. აფასებს კანდიდატების მოტივაციას და საუნივერსიტეტო სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობას. გარდა ამისა, უფლებამოსილია სურვილის შეთხვევაში გაესაუბროს კანდიდატებს. ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე კენჭისყრის გზით იღებს გადაწყვეტილებას იმ კანდიდატის სასარგებლოდ, რომლის მონაწილეობასაც წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მიიჩნევს პროდუქტიულად.
- 5.6 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სტუდენტი წევრის არჩევის შესახებ, არჩევნების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება რექტორს დასამტკიცებლად, რომელიც არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე.

6. რექტორის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრის შერჩევა და დანიშვნა:

- 6.1 რექტორის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით რექტორი ბრძანებით აცხადებს კონკურსს, იმავე წესით არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 1 თვით ადრე ან საჭიროებისამებრ.
- 6.2 კონკურსის ჩატარების თარიღები და სხვა პირობები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.
- 6.3 საკონკურსო დოკუმენტაციის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საქმისწარმოების დეპარტამენტი.
- 6.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი უფლებამოსილი პირი ვალდებულია დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი დასაბუთებული განაცხადი, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის მიზნებისთვის განაცხადი არ განიხილება.
- 6.5 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატების მიმართ დგინდება შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:
 - ა) კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
 - ბ) უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ან განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3

- (სამი) წლიანი გამოცდილება;
- გ) კანდიდატის ხედვა უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით;
- 6.6 საქმისწარმოების დეპარტამენტი ამოწმებს აპლიკანტების მიერ წარმოდგენილ საბუთებს და მათი სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში არეგისტრირებს კანდიდატს.
- 6.7 კანდიდატების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ორ სამუშაო დღეში საქმისწარმოების დეპარტამენტი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, რომელშიც მითითებული დარეგისტრირებული კანდიდატების სახელი და გვარი და დართული აქვს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ხედვა უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.
- 6.8 უნივერსიტეტის რექტორი ეცნობა კანდიდატების მიერ წარმოდგენილ ხედვას უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.
- 6.9 რექტორი უფლებამოსილია გაესაუბროს წარმოდგენილ კანდიდატებს ან გასაუბრების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მათი საბჭოს წევრად შერჩევის შესახებ.
- 6.10 საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით კანდიდატთან გასაუბრებას რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დაესწროს მოწვეული პირი/პირები, რექტორისთვის კომპეტენტური შეფასების და რჩევის გაზიარების მიზნით.
- 6.11 რექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ შერჩეულ საბჭოს 5 (ხუთი) წევრს ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.
- 6.12 რექტორის გადაწყვეტილებით შერჩეული საბჭოს წევრი 5 (ხუთი) პირიდან მინიმუმ 2 (ორი) წევრი 3 (სამი) წელიწადში ექვემდებარება როტაციას. ამ მუხლით დადგენილი წესით შერჩეული საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ შერჩეული ახალი შემადგენლობიდან უნდა იყოს მინიმუმ 2 (ორი) პირი, რომელიც არ იკავებდა საბჭოს წევრის პოზიციას წინა შემადგენლობაში.
7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამი კალენდარული წლით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) უფროსი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, მისი თანამდებობრივი ინსტრუქციითა და შრომითი ხელშეკრულებით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება; ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება;
- გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა;
- დ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების ცოდნა;
- ე) საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსებისა და სასწავლო გეგმის შედგენის ცოდნა;
- ვ) "ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა;
- ზ) ბოლონის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა;
- თ) უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი აქტების ცოდნა;
- ი) ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე;
- კ) საოფისე პროგრამების ცოდნა.

უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის მმართველი სუბიექტი და მართვის ორგანო

ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანი (შემდგომში - „დეკანი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობის პირს, რომელიც ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტს.
2. დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. იგი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
3. დეკანის უფლებამოსილებები და ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით, მისი თანამდებობრივი ინსტრუქციითა და შრომითი ხელშეკრულებით.
4. დეკანის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება; აკადემიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება;
 - გ) უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა;
 - დ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების ცოდნა;
 - ე) უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი აქტების ცოდნა;

- ო) ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე; ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების განმახორციელებელი ფაკულტეტის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
- კ) საოფისე პროგრამების ცოდნა.

ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობა და ფორმირების წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.
2. ფაკულტეტის საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ოთხი არჩეული წარმომადგენელი და ორი სტუდენტთა წარმომადგენელი. ფაკულტეტის საბჭოს წევრი, გარდა დეკანისა, ერთდროულად არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეა დეკანი ან მისი წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნები ინიშნება რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ინფორმაციის საჯარო გაცნობის მიზნით, ქვეყნდება ყველასათვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას, არჩევნების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.
6. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების ჩასატარებლად უნივერსიტეტის რექტორი ქმნის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას და განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.
7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაძლებელია ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილებით უარის ეთქვას პირს რეგისტრაციაზე.
8. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით.
9. კანდიდატების დასახელება ხდება აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ნახევარზე მეტი.

აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შეუძლიათ როგორც საკუთარი, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს ეყრება კენჭი ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში იმავე სხდომაზე ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

10. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 4 წლის ვადისა. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი.
11. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მიიღო. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
12. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი სტუდენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული განცხადებით მიმართავს საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია რეგისტრაციის დასრულებისთანავე ადგენს სტუდენტ კანდიდატთა ერთიან სიას და უგზავნის თვითმმართველობას.
13. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტი წევრები კანდიდატთა სიიდან აირჩევიან სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ 2 წლის ვადით თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. თვითმმართველობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების ნახევარზე მეტი.
14. სტუდენტი კანდიდატებისთვის ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით. საარჩევნო ბიულეტენის დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია საარჩევნო კომისია.
15. ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევნები, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამომრჩევლების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ასეთ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს და მისი დამუშავება უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტი წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში ხმის მიცემა მოხდება ელექტრონული გამოკითხვის

ფორმით, ანონიმურობის დაცვით.

16. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
 - ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმოწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
 - ბ) თუ არ არის შემოხაზული არცერთი კანდიდატურა;
 - გ) თუ შემოხაზულია თითოეული ფაკულტეტიდან ორზე მეტი კანდიდატურა;
 - დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
17. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტი წევრების არჩევნების კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით.
18. თუ არჩევნებში მონაწილე სტუდენტმა კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი რაოდენობა, იმართება განმეორებითი არჩევნები. განმეორებით არჩევნები ტარდება თანაბარი შედეგის მქონე კანდიდატებს შორის ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით.
19. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ფაკულტეტზე არჩევნების ჩატარებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, სათანადო ოქმებთან ერთად, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.
20. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრს ან ამომრჩეველს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას წარმომადგენლობითი საბჭო იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.
21. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, ასევე სხვა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადასვლის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას. ახალი წევრის არჩევა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესით.
22. სტუდენტური თვითმმართველობის წევრს არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატმა.
23. ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევნები, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამომრჩეველების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ასეთ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს და მისი დამუშავება უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტი წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში ხმის მიცემა მოხდება ელექტრონული გამოკითხვის

ფორმით, ანონიმურობის დაცვით.